«დროების» რედაქცია —სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ., 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.
ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

ოთხშაბათს, 11 აპრილს,

«ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» მმართველობისაგან იქნება გამართული თბილისის «კრუჟოკის» დარბაზში

## ბალი

ამ საზოგადოების სასარგებლოდ.

ქალებს შეუძლიანთ დაესწრონ გულშეკრული კაბებითაც.

ბალი დაიწყება საღამოს 9 საათზედ.

ფასი ბილეთებისა 2 მან. ბილეთების ყიდვა შავერდოვის საგენტოში და თვით «კრუჟოკში». (4—2)

## მცირე შენიშვნა.

ჩვენი გმირული წარსული სიბნელით მოცულია. ჩვენი ქვეყანა შეუსწავლელია. მდიდარს ჩვენს ისტორიას, არქეოლოგიას, ისტორიულს გეოგრაფიას ჯერ კიდევ ჩინური კედლები აჰფარებია. აქამომდე თითო-ოროლა პირს ძლივ-ძლიობით სამეცნიერო წერაქვის შემწეობით გამოუჩიჩქნია ჩინურ კედელში მცირეოდენი ხვრელი და იქიდამ მარტო თვალი გადუვლია იმ მოედნისთვის, რომელზედაც მოიდგა ფეხი ისტორიაში შესანიშნავმა, მაგრამ აქამდის მეცნიერებისთვის უცნობმა ხალხმა, რომელსაც შეადგენენ ქართლოსიანნი. მოსეს დროიდგან ქართველნი შენიშნა ისტორიამ, ესე იგი, მე XVX-VI საუკ. ქრ. წინად. იმ დროიდგან აქამომდე ეს ხალხი სცხოვრებს ისტორიულად. ძველებურ დროიდგანვე მას ჰქონდა მიმოსვლა მთელს მაშინ ცნობილს არე-მარეში. ქვეყანა ამ ხალხისა იყო მეტად მშვენიერი, ტურფა, იგი იზიდავდა ყველა მეზობლების ყურადღებას. თვით მცხოვრებნიც ამ ქვეყნისა განთქმულნი იყვნენ სილამაზითა, ახოვანებითა, ნიჭითა და ყოველ გვარის სათნოებითა. ჩვენს ცხოვრებაზე მოგვითხრობენ ძველნი ზღაპარნი ბერძენთა, სპარსთა და სხვ. აგრეთვე ისტორიკოსნი: ჰეროდოტი, პლუტარხი, სტრაბონი, მწერალნი არაბთა, რომაელთა, სპარსთა და სხვ. გაკვრით აღწერენ ჩვენს ცხოვრებას და წარსულს და, თითქმის, ყველანი სიამოვნებით იხსენებენ ქართველების კეთილ-წარმატებას და აღყვავებულ მდგომარეობას. საკუთრად ჩვენი მატიანებიც კარგის შეხედულებისანი არიან ჩვენს ვითარება—ცხოვრებაზე.

მთელი ისტორიული ხანა ჩვენი ცხოვრებისა, უკანასკნელი რომ ვსთქვათ, შეიცავს 3,000 წელს, ანუ 30 საუკუნეს. ამ ბოლოს დრომდის ახალი მეცნიერება ჩვენ უყურადღებოდ გვტოვებდა; თითქმის ყველანი ერთხმად ამბობდენ, თქვენ გიცხოვრიათ, მაგრამ ნავალისთვის კვალი არ დაგიჩნევიათ და ბევრნი პირსაც მიგვაქცევდენ ხოლმე. მაგრამ წამოგვესარჩლა ბროსე და მთელს განათლებულს ქვეყანას გააცნო ჩვენი ვინაობა, ჩვენი მატიანები, ჩვენი ბუნება. ურწმუნო მეცნიერთ ჩაიხედეს ჩვენს სიბნელით მოცულს ღრმა ისტორიაში და იმის კამარაზე, ვითარცა მენავეთა ხლეისათა, აღმოაჩინეს ახალ-ახალი კუნძულები. გამოჩენილმა ლენორმანმა და მრ. სხვათა ქართველების ისტორიული ცხოვრების საზღვარი თანახმად ჩვენის მატეანესა, არქეოლოგიურთა ნაშთთა, გეოგრაფიულთა სახელ-წოდებათა და იეროგლიფიურთა წარწერათა მიიტანა ვანის ტბის ყურამდის და კაპადოკიამდის. მრავალთა მეცნიერთა უკვე აღიარეს ის ფაქტი, რომ ქართველთა ისტორიის მეცნიერულად შესწავლა ნათელს მოჰფენს არა მხოლოდ საკუთრად ჩვენს ისტორიას, არამედ მთელი კაცობრიობის ისტორიის უუძველესს ხანასაც, რომელიც ეხლა ბნელით არის მოცული.

რაიცა შეეხება ჩვენთა მატიანეთა, უნდა გადაწყვეტით ვსთქვათ, რომ იგინი თან-და-თან იზიდავენ დიდს ყურადღებას მეცნიერებისას.

ასრე დღით-დღე ჩვენი ქვეყანა ჰხდება მეტად საინტერესო საგნად. დღით-დღე მას უჩნდებიან ახალ-ახალნი მოსარჩლენი — მეცნიერნი. ჩვენი წარსულის შესწავლამ უნდა გადასწყვიტოს მრავალი გადუწყვეტელი კითხვანი და პრობლემატიური დასკვნანი.

სწორედ ამ დროს ჩვენშიაც იბადება დიდი სურვილი ჩვენი ქვეყნის და ისტორიის შესწავლისა. ამ კეთილშობილმა სურვილმა თავი იჩინა ერთს წერილში («დროება» № 70), რომლითაც სთხოვენ ჩვენს ისტორიკოსს ბ. დიმიტრი ბაქრაძეს, რომ მან ლექციებით გვასწავლოს ხერხნი პალეოგრაფიის, ისტორიის და არხეოლოგიის შესწავლისათვის. სურვილი დიდად სასიქადულოა, მაგრამ აღსასრულებლად მეტად ძნელი. არ ვიცი, შესძლებს თუ არა ბ. ბაქრაძე, რომ თვეში, ანუ ორ-სამ კვირაში ერთხელ მაინც შეამზადოს ლექცია ჩვენთვის სათქმელად, მაგრამ რომ კიდეც შესძლოს, სამყვიდრო მაინც არაფერი იქნება. ჩემის აზრით, საჭიროა და აუცილებლადაც საჭიროა, რომ თბილისში ბ. ბაქრაძეს თავ-მჯდომარეობით შესდგეს ისტორიის მოყვარეთა წრე, ანუ საზოგადოება, რომელმაც აღმოაჩინოს საშუალება (რამდენიმე

«დროების» ფელეტონი, 4 აპრილი.

### ზანგი-პასტორი

### ჯონ კრიდი.

### III

(დასასრული*).

ოც-და-ათი მილის სიშორეზედ იყო მფუენტში მისიონერების სტანცია, სადაც ორი მისიონერი სცხოვრებდა და რომლებთანაც ერთხელ ჯონ კრიდი ნავით წავიდა. ამ სტანციამდის ხმელეთითაც მიდიოდა ტყე-ტყე ერთი პატარა ბილიკი. როდესაც პირველად მოვიდა აფრიკაში, მაშინ იგი ვერ გაიგნებდა ამ გზას, მაგრამ ეხლა კი ფეხშიშველა და თითქმის ტიტველა ისე ძვრებოდა ხეებში, როგორც ნამდვილი აფრიკელი. მან ისე გაიარა ოც-და-ათი მილი, რომ არ დაუსვენია და გათენებისას მფუენტის მისიონერებს კარები დაურაკუნა.

ერთმა მისიონერმა სიფრთხილით გააღო კარები.

— რა გინდა?—დაეკითხა იგი ზანგურად კარებში მდგომს ველურს კაცს.

—ჯონ კრიდმა გამომგზავნა თქვენთან,—მიუგო ველურმა კაცმა,—ევროპიული ტანისამოსი გთხოვათ.

— წიგნი არ გამოგატანა?— ჰკითხა მისიონერმა.

ჯონ კრიდმა მისცა წერილი, მისიონერმა წაიკითხა. წერილში ეწერა რომ ჯონ კრიდის სახლი ბუტაბუეში ზანგებმა გაქურდეს და სხვათა შორის ტანისამოსიც წაიღეს, რის გამოც ის სინამ ტანისამოსს არ იშოვის, შინიდამ კარში ვერ გამოვა.

— საკვირველია, — სთქვა მისიონერმა,— ამ სამი დღის წინად მამა ფელტონი ციებ-ცხელებისაგან მოკვდა. იმის ტანისამოსი წაუღე კრიდს.

შიშველმა ველურმა კაცმა თავი დაუქნია. მისიონერი დააკვირდა მას და თითქოს ეცნო იმის პირი-სახე. მაგრამ აზრადაც არ მოსვლია, რომ ეხლა მას თვითონ ჯონ კრიდი ელაპარაკებოდა.

ფელტონის ტანისამოსი შეახვიეს ბოხჩაში და შიშველმა ველურმა კაცმა დააპირა წასვლა.

— შენ, მგონი, არაფერი გიჭამია,—უთხრა დაობლებულმა მისიონერმა.— თუ გინდა საჭმელი რამ, წაიღე გზაზედ.

— ცოტა პური მიბოძეთ,—მიუგო ჯონ კრიდმა, — გზაზედ დავნაყრდები.

და როდესაც მისიონერმა მისცა პური, მან შეცდომით მადლობა ინგლისურად გადაუხადა.

მისიონერს გაუკვირდა, მაგრამ გაიფიქრა, რომ ამ ერთი სიტყვის მეტი არ ეცოდინებაო; ამ ერთს სიტყვასაც ბუტაბუეში ისწავლიდა და, როგორც ყველა ზანგი, ამ უცხო სიტყვის ცოდნით ამპარტავნობსო.

ბოხჩით ხელში ჯონ კრიდი დაადგა ისევ იმ ბილიკს და ისე დაძვრებოდა ბუჩქებში და ხეებში, როგორც ვეფხვი; ასე იარა დაუსვენებლად, სინამ ბუტაბუეში არ მივიდა. იმან სოფლის სიახლოვეს ჩაიცვა ინგლისური ტანისამოსი. მასუკან იგი ამპარტავნულად გავიდა დიდს ქუჩაზედ და პირდაპირ შინ მივიდა. შუა დღე იყო და საშინლად ცხელოდა.

ეტელი წინანდებულად კრაოტზედ უგრძნობლად იწვა. ზანგის ქალს მთელი ღამის გატეხის შემდეგ ჩასთვლემოდა. ჯონ კრიდმა შეხედა თავის საათს, რომელიც ხის პატარა სტოლზედ იდგა.—თოთხმეტს საათში სამოცი მილის გავლა,—სთქვა მან ხმა მაღლა,—ყველა ინგლისელ შიკრიკებს ვაჯობე!

შემდეგ ჩუმად მოუჯდა ეტელს გვერდით.

— ერთხელაც არის, ეტელს თვალი არ გაუხელია?—ჰკითხა ზანგის ქალს—

არც ერთხელ არ გაუხელია,—მიუგო ქალმა.

ჯონ კრიდი ერთი თუ ორი საათის განმავლობაში დასცქეროდა ეტელის უსიცოცხლო სახეს. შუა დღის ოთხს საათამდის მას სიცოცხლის ნიშანიც არ ეტყობოდა; ოთხი საათის შემდეგ კი ჯონმა შეატყო, რომ ეტელი ცნობაზედ მოდიოდა.

ერთმა წამმაც გაიარა და ეტელმა შეხედა ჯონ კრიდს და სიხარულით შეჰყვირა:

— ჯონ! ეგ ტანისამოსი სად იშოვე?

— ეს ტანისამოსი?—მიუგო ჯონმა,—შენ, მგონია, ბოდავ, ძვირფასო ეტელ, რომ მაგასა მკითხავ. ეს ტანისამოსი ოქსფორდში არ იყო, რომ ვიყიდე.

ჯონმა ნაზად გადაუსვა ეტელს თავზედ ხელი.

ეტელმა სიხარულით შეჰყვირა.

— მაშ მე სიზმარში ვყოფილვარ, ჯონ, საშინელს სიზმარში! ოხ, ჯონ მითხარ, რომ სიზმარში ვყოფილვარ!

ჯონმა შუბლზედ ხელი გადაისვა.

— ძვირფასო ეტი! ვაი თუ ჰბოდავდე; საშინელი სიცხე გაქვს. არ მესმის, რის თქმა გინდა.

— მაშ შენ შენი ტანისამოსი არ შემოგიხევია, არ ზანგურად არ ჩაგიცვამს და ზანგებთან ერთად ქუჩაში არ გითამაშნია? ოხ, ჯონ!

— არა, ეტი! არა! ოხ, რანაირად ჰბოდავ!

*) იხ. «დროება». № 74.

პირი კიდევ გვეგულება, რომელნიც უსათუოდ მატერიალურად დაეხმარებიან მას) და დაარსოს თვიური ანუ ორ-თვიური ისტორიული ჟურნალი, რომელშიაც იქნებიან დაბეჭდილნი ყოველნი ლექციანი და გამოკვლევანი, როგორც ბ. ბაქრაძისა, ისე სხვა ჩვენთა და ევროპიელთა მეცნიერთა; აგრეთვე ძველნი ჩვენნი მატიანენი, გუჯარნი, იეროგლიფიურნი წარწერანი, რასაკვირველია, ყველა კრიტიკულის განხილვით და მეცნიერულის გამოკვლევით. ამას გარდა, ჟურნალში აღიბეჭდოს შესანიშნავნი შრომანი ჩვენს ქვეყანაზე; ჟურნალის მეორე ნახევარში დაიბეჭდოს ეთნოგრაფიული ცნობანი ჩვენს ხალხზე, განიმეოროს ფილოლოგიურად ჩვენი ენა, და სხვა-და-სხვა.

ამ გვარად და მხოლოდ ამ გვარად შეგვიძლიან შევისწავლოთ ჩვენი წარსული. ამ ჟურნალის შემწეობით და არა ერთი კაცის ძალ-ღონით ავხსნით, ნელ-ნელა ავხდით ფარდას და ჩინურ კედლებს შევუმტვრევთ ჩვენის წარსულის მოედანს და გავიგებთ საბაბს იმისას, თუ ქართველობამ, როგორ ჩაუნერგა თითქმის ყველა ისტორიულთა ხალხთა და უმეტესად კავკასიელთა თვისადმი მიზიდულობა და, თითქმის, ყველას და ყველგან, კაპადოკიიდგან მოკიდებული ზურგანის ზღვამდის, დააჭდია თვისი ენის, ჩვეულება—ხასიათის და, საზოგადოდ, ცხოვრების ჭდე.

ერთის სიტყვით, უპირველესად ყოვლისა და აუცილებლად საჭიროა ისტორიული ჟურნალი. უამისოდ, რა გინდ ბევრი ლექციები გვიკითხონ (თუ გინდ ლექტორად იყოს ისეთი მცოდნე წარსულისა, როგორიც ბ. დიმიტრი ბაქრაძეა), მაინც ვერას შევისწავლით და მაშინაც, როგორც ეხლა, ჩვენი ქვეყანა ჩვენთვის იქნება «terra incognita».

მოსე ჯანაშვილი.

## შინაური ქრონიკა

≈ კავკასიის საქმეთა მთავრობას განუზრახავს ცოტათი მაინც შეავსოს ის ნაკლი, რომელსაც გრძნობენ ჩვენი ქვეყნის მიყრუებული კუთხეები ექიმებისა და ნასწავლი ბებიების უქონლობის გამო. ამ აზრით, მარტო ბაქოს გუბერნიაში სამ ალაგს იქმნებიან დანიშნულნი ექიმები და ნასწავლი ბებიები და თბილისის გუბერნიაში კი მხოლოდ ერთგან, სახელდობ, ს. ცხინვალში, სადაც ამ ცოტას ხანში დაინიშნება როგორც ნასწავლი ბებია, ისე ექიმი.

≈ თუმცა სახელოსნო წესდების ძალით ხელოსნების თავი და უსტაბაშები ვალდებულნი არიან მიაქციონ ყურადღება ხელოსნების ჯანმთელობას, მაგრამ მაინც ამ ბოლოს დროს უსტაბაშებს დაურიგდათ გუბერნატორის ბრძანება, რომ თვალ-ყური ადევნონ გახშირებულს ყვავილის ავადმყოფობას და, სადაც კი აღმოჩნდება, აცნობონ დანიშნულებისამებრ.

≈ კუკიაში, ელიზავეტის ქუჩაზედ, პავლოვსკის სამკურნალოდამ მოყოლებული იარალოვის სახლამდე $3/4$ ვერსის სიგძეზე, ტროტუარი იმ ყოფაშია, რომ, თუ მალე არ მიჰხედა ქალაქის გამგეობამ, შეიძლება ბევრს გამვლელ-გამომვლელს დაადგეს ის დღე, რა დღეც დაადგა ერთს ხნიერ მოქალაქეს ბ. ჩ—ს 30 მარტს საღამოზედ. თუმცა ბ. ჩ—ი დიდის სიფთხილით მიდიოდა, მაგრამ მაინც ვერ ასცდა ხიფათს, ჩავარდა ორმოში, ფეხი იღრძო და იძულებულნი იყვნენ შინ ფაეტონით გაესტუმრებინათ. საქმე ის არის, რომ ზემოხსენებულ მანძილზედ ტროტუარი ასფალტის მზგავსის ნივთიერებისაგან არის გაკეთებული, მაგრამ სიძველის გამო ხშირ-ხშირად შეხვდებით ამონათხარებს, შიგ ჩამდგარ წვიმასა და ტალახის გუბეებს, ასე რომ მასზედ სიარული და, მეტადრე, ღამე ავდარში ძალიან გაძნელებულია.

≈ წარსული თვის განმავლობაში ქალაქის საბჭომ გარდასწყვიტა შეადგინოს სამი კერძო და ერთიც მთავარი კომისია, რომელთაც ხელმეორედ უნდა დააფასონ თბილისის უძრავი ქონება. კერძო, ანუ ადგილობრივი კომისიების დანიშნულება ის უნდა იყოს, რომ მათ დაადონ ფასი ხსენებულ ქონებას. ხოლო მთავარის, ანუ ცენტრალური კომისიის დანიშნულება იქნება, რომ გაარჩიოს დანარჩენი კომისიების მოქმედება, ანუ განიხილოს საჩივრები, რომელნიც აღმოსჩნდებიან ადგილობრივი კომისიების მოქმედებაზე. აქედამ ცხადია, რომ ცენტრალური კომისია თუმცა ეხლავ დაწესდა, მაგრამ მას საქმეები მაგდენი არა ექნება რა წლის გასვლამდის.

ორშაბათს საღამოს, 2 აპრილის სხდომაზე, ქალაქის საბჭომ მთელი თავის ყრილობის დრო მოანდომა ხსენებული კომისიების წევრთა ამორჩევას და აგრეთვე ცენტრალური კომისიის თავმჯდომარის ამორჩევას. დანარჩენი კომისიების თავმჯდომარეებად იქმნებიან ეხლანდელი დამფასებელი კომისიის ორი წევრი და ერთიც თავმჯდომარე.

ცენტრალური კომისიის თავმჯდომარედ, ხმოსანთა კენჭის საყრელად, სამი პირი იყო დასახელებული: ბბ. ჩოლაყაშვილი, ბურგენბეკოვი და ნუროვი. მათში თავადმა ა. ზ. ჩოლაყაშვილმა მიიღო 25 ამომრჩეველი და 7 შავი კენჭი და დაინიშნა კიდეც თავმჯდომარედ. ამ კომისიის წევრებად ამოირჩიეს თავ. გ. თუმანიშვილი, რომელსაც ერგო 29 თეთრი, 8 შავი კენჭი, და ბ. გ. მ. თამამშოვი, რომელსაც ერგო 25 თეთრი და 12 შავი კენჭი.

დანარჩენი კომისიების წევრობა მოინდომეს 20 კანდიდატმა, რომელთაც საბჭომ უყარა კენჭი. მათში 6 ამოუყვიდა უმთავრესი რიცხვი თეთრი კენჭისა. ბ. ნ. დ. ქანანოვმა მიიღო 24 თეთრი და 15 შავი, ბ. ქეთხუდოვმა—30 თეთრი და 9 შ., ბ. მერაბოვმა—27 თ. და 12 შ., ბ. ნ. გ. ბებუთოვმა 22 თ. და 17 შ., ბ. ჩიმიშკიანმა—21 თ. და 18 შ., ბ. ი. პ. ისარლოვმაც—21 თ. და 18 შავი.

ამავე კრებაზე, გამგეობის წინადადებით, საბჭომ 34 ხმით წინააღმდეგ 5 ხმისა, ბ. ა. გ. ხატისოვი დანიშნა ობოლთა სასამართლოს გამგებლად, ბ. შანშიევის მაგიერ, რომელმაც თავი დაანება ამ თანამდებობას.

≈ თურმანიძისაგან დესპინე ერისთავის წამლობით მკვლელობის თაობაზედ ჩვენ შევიტყეთ, რომ გარჩევა საქმისა სამოსამართლო პალატაში დანიშნულია 24 აპრილისათვის. ექსპერტიზა და ექიმების აზრის გასინჯვა მინდობილი აქვს

---

— მაშ მადლობა ღმერთს,—სთქვა ეტელმა,—ეხლა სიკვდილისა აღარ მეშინიან.

ამის შემდეგ ეტელი კვალად მისუსტდა და მიბინარდა.

— ჯონ კრიდ!—უთხრა მაღალის ხმით სჯულის მასწავლებლის ცოლმა,—შენ პასუხის მგებელი ხარ წინაშე ღვთისა იმ სიცრუისათვის, რომელიც ამ მომაკვდავს ქალს უთხარი.

— სულით ვუგებ პასუხს, სულით!—შეჰყვირა ჯონ კრიდმა. ნუ-თუ შენა გგონია, საბრალო ზანგის ქალო, რომ მე მზად არა ვარ გავიწირო ჩემი ბედ-კრული, საცოდავი, შავი სული საუკუნო სატანჯავად, თუ კი ამით შემეძლება ცოტა-ოდენი შვება მოუტანო ეტელის საცოდავს თეთრს გულს სიკვდილის დროს?

ხუთის დღის განმავალობაში ეტელს საშინელი სიცხე ჰქონდა, ხან ერთს-ორს წამს მოიხედავდა და მომეტებულად კი მიბინარებული იყო და ჰბოდავდა. ის აღარც ერთი სიტყვით არ აგონებდა ჯონს თავის საშინელს სიზმარს და აღარც ჯონი იგონებდა. ჯონი უჯდა ეტელს გვერდით, ისე უვლიდა, როგორც ქალი და გულში ჰფარავდა სულის შემხუთავს გრძნობას სინანულისას, რომლის გამოცემაც არც სიტყვით შეიძლება და არც კალმით. ჯონ კრიდი ნამდვილად განათლებული კაცი იყო და თუმცა ხანდისხან იმის გულში ველური ინსტინქტები გაიღვიძებდენ ხოლმე, მაგრამ ამ ინსტინქტებს იმოდენავე გავლენა ჰქონდა იმის განათლებულს ხასიათზე, რამდენი გავლენაც ექნებოდა ქეიფს ინგლისის კოლეგიის მოწაფეებზედ. საზოგადოდ ჯონ კრიდი კეთილი და მშვიდი ხასიათის კაცი იყო.

იმ დროს, როდესაც კრიდი რამდენსამე ღამეს უძილოდ ატარებდა ეტელის გვერდით, იგი მხოლოდ ამ ლოცვას ამბობდა. ღმერთმა ჰქნას, რომ ეტელი მალე მოკვდეს.

ჯონმა კარგად იცოდა, რომ ეტელს, თუ მორჩებოდა, ისე შესძულდებოდა სიცოცხლე, რომ იმისთვის სიკვდილი უმჯობესი იქნებოდა.

— თუ რომ ეტელი მორჩება,—ამბობდა იგი კანკალით,—მე მაშინვე დავტოვებ ამ დაწყევლილს აფრიკას. გემზედ მატროსად დავდგები, რომ ინგლისში წასასვლელი ფული ვიშოვო, ეტელს კი იმ ფულით გავგზავნი, რომელიც ეხლა მაქვს. მე იმას თვალით აღარ დავენახვები, რადგანაც ვერ დავარწმუნებ, რომ მე ტანისამოსი არ შემოვიგლიჯე და ზანგებთან ერთად არა ვთამაშობდი. მე თვითონ ვიშოვი ინგლისში ლუკმა-პურს... მღვდლობით კი არა, არა... მე მღვდლობის ღირსი აღარა ვარ, მე ან უბრალო სოფლის მუშა გავხდები და ან მატროსი. მადლობა ღმერთს, ჯანი კარგი მაქვს. მე ვიმუშავებ და რასაც ფულს ავიღებ, რა გინდ რომ სიმშილით სული მხდებოდეს, ეტელს მივცემ, რომ იმან ქალბატონურად იცხოვროს. ის მაინცა-და-მაინც უბედური იქნება, საწყალი ჩემი ანგელოზი! მას მხოლოდ ერთი საშველი აქვს... ღმერთმა ქნას, რომ მალე მოკვდეს!

მეხუთე დღეს მან თვალები გაახილა. ჯონმა შენიშნა, რომ იმის ვედრება სრულდებოდა.

— ჯონ!—უთხრა ეტელმა სუსტის ხმით,—ჯონ! პატიოსნება დაიფიცე, რომ მე მხოლოდ ვბოდავდი.

ჯონმა აღაპყრო ზეცისადმი ხელები და მაღალის ხმით წარმოსთქვა:—ვფიცავ.

ეტელმა გაიღიმა და დახუჭა თვალები.

ამის შემდეგ თვალი აღარ გაუხელია.

ჯონ კრიდმა არც ერთი ცრემლი არ ჩამოაგდო და მეტის-მეტი მწუხარებით გამშრალის პირით და გულით მეორე დღეს აიღო წერაქვი და ერთს წყლის ნაპირზედ თვითონ გათხარა საფლავი. შემდეგ თავისივე ხელით გააკეთა კუბო და მოწიწებით ჩაასვენა მასში ძვირფასი ცხედარი. იმან არავინ არ მიიშველა, არც თვით გაქრისტიანებული ზანგი თავის ცოლით. ეტელი იმისთვის ისეთი წმინდა ქმნილება იყო, რომ არ ინდომა ზანგების ხელები მის წმინდა სხეულს შეხებოდენ. შემდეგ ჩაიცვა თეთრი სტიხარი და პირველად და უკანასკნელად შეასრულა ქრისტიანული დამარხვის წესი. როდესაც ყველაფერს მორჩა, იგი დაბრუნდა თავის ქოხში და მწუხარებით ხმა მაღლა წარმოსთქვა:

— ერთად ერთმა ქმნილებამ, რომელიც მე მაკავშირებდა განათლებასთან, თავი დამანება. ამას იქით აღარც ერთს ინგლისურს სიტყვას არ წარმოვსთქვამ. მე ვუბრუნდები ჩემს ხალხს.

მან კვალად შემოიხია ევროპიული ტანისამოსი, თავზედ მიწა დაიყარა, დაჯდა თავის ქოხში და ისე ატირდა, როგორც ბავშვი.

ეხლა ერთი პორტუგალელი ვაჭარი, რომელიც ბუტაბუეში რომსა ვაჭრობს, იქ მისულს ინგლისელებს, სხვა განათლებულს ზანგებს შორის, ერთ ზანგსაც უჩვენებს ხოლმე, რომელიც თავის ქოხის წინ ყოველთვის მიწაზე გდია; ერთს დროს იგი ოქსფორდის კოლეგიაში კურს-დასრულებული პასტორი იყო.

ი. ბ—ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილს აგუშთას დოქტორს ანანოვს, რომელიც, დარწმუნებული ვართ, მიუდგომლად განიხილავს ამ ფრიად საინტერესო საქმეს.

— გუშინ, სამშაბათს, პალატამ გაამართლა ძმები ჯანჯულაზოვები, რომელთაც განგებ გაკოტრება ბრალდებოდათ.

— ჩვენ შევიტყეთ, რომ შიოევის ქვრივის ანდერძის ამასრულებელთ უარი უთქვამთ თავიანთ უფლებაზედ, აგრეთვე მათ ხვედრს პროცენტზედაც და ამ საქმის სრული გამგეობა მიუნდვიათ ქალაქის თვით-სამმართველოსათვის.

— თბილისის მაზრის მომრიგებელ შუამავლად, როგორც შევიტყეთ, დაუნიშნავთ ივ. თულაშვილი.

— ეს არის ახლა მოგვივიდა დეპეშა პოლიციის პრისტავის ჩიგოგიძისაგან, რომელიც გვატყობინებს, რომ ექიმმა გასჭრა აკაზაკის ჭურნიას გვამი და აღმოაჩინა სიცრუე ამ კორესპონდენციებისა, რომელნიც «დროების» 71 და 73 №№-ებში დაბეჭდილიო.

ჩვენ ის ამბავი ორი-სამი კორესპონდენტისაგან მოგვივიდა სხვა-და-სხვა მხრიდამ, მაგრამ მაინც დაჯერება ვერ გავბედეთ საეჭვოდ გამოვაცხადეთ. ახლაც ვერას ვიტყვით გადაწყვეტილს — ვინ არის მტყუანი და ვინ მართალი, თუმცა ზ. ჩიგოგიძე ტელეგრამით მართლულობს თავსა. მოველით ამ ამბის შესახებ დაწვრილებით ცნობებს.

— «მოსკოვის უწყებების» სიტყვით, ამ გაზაფხულზედ დაიწყებს თავის მოქმედებას უმაღლესად დამტკიცებული რუსეთის საზოგადოება კავკასიაში მრეწველობისა და ვაჭრობისა.

— გაზ. «რუსკი კურიერში» შესახებ ბათუმის პორტო-ფრანკოს გადიდებისა ვკითხულობთ, რომ ტამოჟნის დეპარტამენტს სასარგებლოდ უცვნია ხსენებული პორტო-ფრანკოს გადიდება, რადგანაც ახლა სამზღვრის კორდონები ცუდს, ჭაობიანს ადგილებში უდგნიათ და მაშინ კი, როდესაც პორტო-ფრანკოს ადგილი მოემატება, ტამოჟნის უწყებას საშუალება მიეცემა უფრო კარგს და საღ ადგილებში დააყენოს იგინი.

— გაზ. «მოსკოვის უწყებების» სიტყვით, ბათუმის პორტო-ფრანკოს სამზღვარს კიდევ $2\frac{1}{2}$ ვერს მოუმატებენ. ახლა პორტო-ფრანკოს სამზღვარს მდინარე ბარცხენა შეადგენს და აპირობენ ყარალის წყალამდინ გასწიონ ეს სამზღვარი, ასე რომ პატარა არტილერიის ქალაქი, რომელიც რუსებმა ააშენეს, სამზღვარში მოჰყვება. ბათუმის პორტო-ფრანკოს გადიდება საჭიროდ უცვნიად ნავთის ქარხნების გასამართავად.

— გაზ. «არძაგანკს» შემდეგი ტელეგრამა მოსვლია გუშინ კონსტანტინეპოლიდგან შესახებ სომეხთა კათალიკოსის ამორჩევისა: «დღეს იყო სხდომა ნაციონალური კრებისა, რომელზედაც 101 კაცი დაესწრო. ნერსესმა 62 ხმა მიიღო, ხრიმიანმა — 50, მელქისედეკმა — 42. გარდასწყვიტეს აგრეთვე გამოგზავნოთ ეჩმიაძინში ეს სახელები მათ სასარგებლოდ მოსული ხმებითურთ, რათა თქვენც დაუმატოთ თქვენი ხმები და ბოლოობითი ამორჩევისთვის.

## უცხოეთი

— რამდენიც ხანი მიდის, იმდენი უფრო და უფრო ცუდი ამბები მოდის გორდონის მდგომარეობაზედ. ამ დღეებში გორდონი ხართუმიდგან გამოხტომია აჯანყებულებს, მაგრამ უკანასკნელთ საშინლად დაუმარცხებიათ მთლად მისი გარნიზონი და თითონაც იძულებული გამხდარა ქალაქის კედლების უკან დამალულიყო. ამას გარდა, როგორც ტელეგრამებიდგან ვიცით, გარნიზონში მოღალატენიც გამოსჩენია მას. წარჩინებული გორდონი, რომლისაც დიდი იმედი ჰქონდა მთელს ევროპას, ეხლა, როგორც წარსულ №№-შიაც ვთქვით, მომწყვდეულია მეამბოხეთაგან ხართუმის კედლებ შუა და ისეთს გაჭირვებაშია, რომ ძნელი მოსალოდნელი-ღაა, თუ ის ცოცხალი გამოვა იქიდგან. მისი სახელი, რამდენიც დღე გადის, იმდენი უფრო და უფრო რცხვება და მისი თავ-მოყვარეობა უწყალოდ ირყევა. ალარავითარი იმედი არ დარჩენია მას სუდანის საქმის მშვიდობიანად დაბოლოვებისა. მახდი თავისას არ იშლის და ამის გამო გორდონს სუდანის საქმეებზე ფიქრი კი არა, მარტო თავის საკუთარს სიცოცხლეზე ზრუნვა-ღა მართებს, რადგანაც ინგლისის მმართებლობამაც თითქო დაუტევა იგი, და სხვაგნით შველას კი აღარსაიდგან მოელის. სენ-ჯემსის კაბინეტმა მისწერა გენერალს გრაჰამს—ჯარები მთლად სუაკიმთან შეჰკრიბე და მზად იყავ ინგლისში წამოსასვლელადაო. ეს ამბავი თუ მართალია, მაშ რას ნიშნავს, თუ არ იმას, რომ გორდონისთვის აღარა ზრუნავს ინგლისის მმართებლობა და ღვთის ანაბრობაზე უშვებს მას ხართუმში! რაღა თქმა უნდა, რომ საქმის ამ გვარი მდგომარეობა ძლიერ აღელვებდა და აშფოთებდა ინგლისელებს თავის მმართებლობის წინააღმდეგ. არამცთუ მმართებლობის მოწინააღმდეგე პრესსა, არამედ თვით ის ლიბერალური გაზეთებიც კი, რომელნიც აქამდინ მმართებლობის მომხრეედ ითვლებოდენ, ცხარედ ჰკიცხავენ კაბინეტის ულონობას და საზოგადოდ მისს მოქმედებას სუდანის შესახებ. ორივე პალატებში დეპუტატები თითქმის ყოველ დღე სუდანის საქმეების მდგომარეობას ეკითხებიან მმართებლობას, მაგრამ ეს უკანასკნელი ნამდვილს არაფერს არ ატყობინებს და ამით უფრო ძლიერ აბოროტებს მათ და დაუნდობლად, უწყალოდ აკიცხვინებს თავს და თავის მოქმედებას.

გაზეთების ყვედრებას და დრტვინვას მმართებლობაზე ხომ დასასრული აღარა აქვს! ისინი ამბობენ, რომ გორდონმა თავისი მისია და სამსახური გაათავა, ამას იქით ველარაფრის გარიგებას შეიძლებსო, და ამაში დამნაშავე მხოლოდ მმართებლობა არისო. იმან თავისუფლად მოქმედების ნება არ მისცა გორდონსა, ანგარიშს სთხოვდა მას ყოველს მოქმედებაში და ბევრს გორდონის მოთხოვნილებას არ ასრულებდაო. იმას რომ გორდონისთვის სრული თავისუფლება მიენიჭებინა და ყოველივე, რასაც ის მოითხოვდა, შეესრულებინა, საქმე ასე აღარ გაჭირდებოდა. მაგალითად, იმან ითხოვა ზობეირ-ფაშის სუდანის გენერალ-გუბერნატორად დანიშვნა, რადგანაც უკანასკნელს უფრო დიდი გავლენა აქვს სუდანის მცხოვრებლებზე, ვიდრე თვითონ; მაგრამ არც ზობეირ-ფაშამ მოინდომა მასთან ერთად მოქმედება და არც მმართებლობა ეცადა, რომ ზობეირ-ფაშა დაეთანხმებინა ამ თანამდებობაზე, განძრახ დააბანდეს იგი კაიროში და იმის მაგივრად ბეკერ-ფაშის რაზმის უფროსად სხვა დანიშნეს. გორდონი და ზობეირ-ფაშა ერთმანეთის დიდი ხნის მტრები არიან და, უეჭველია, გორდონი დიდს მნიშვნელობას აწერდა ზობეირ-ფაშის გავლენას აჯანყებულებზე, რომ თავი დაიმცირა და მასთან შერიგება მოიწადინა. ეს ნამდვილია, რომ გორდონი, თუმცა ზედ-მიწევნით აქვს იმასაც შესწავლილი სუდანი, ამ «ავაზაკს, მეფეს მონების ქვეყნისას», როგორც ევროპაში უწოდებენ, ამჯობინებდა თავის თავს აჯანყების მოსპობაში. საკმაოა ზობერ-ფაშის ერთი სიტყვა, რომ საითაც უნდა, იქით უყოს თავი აჯანყებულებს. გორდონმა კარგად იცოდა იმის თვისება,—იმან იცოდა, რომ ზობეირი პატივისა და ანგარით მოყვარე კაცია; რომ მოემდომათ, ფულისა და პატივის გულისათვის ის სუდანს არ დაიშურებდა ეგვიპტისათვის და ეს ამოდენი დავი-დარაბა და სისხლის ღვრა აღარ მოხდებოდა. მაგრამ ვინ უგდებდა ყურს გორდონის სიტყვას? იმის გამო, რომ მინისტრები არ იგონებდენ მის სიტყვას და არ ასრულებდენ მის მოთხოვნილებათ, საქმე ისე გაძნელდა, რომ სუდანში გაგზავნილ ჯარების უკან წამოსვლაც კი ძნელი შეიქმნა. ინგლისის მმართებლობამ თავის-ნებად სუდანში მუდმივი მმართებლობა დაამყარა გორდონის მოთავეობით; ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისის კაბინეტი აღარ ფიქრობს ხართუმში მყოფი გარნიზონები დაიხსნას. ამას გარდა, გორდონმა ითხოვა ცხენოსანი ჯარის ორი ესკადრონის ბერბერისაკენ გაგზავნა; მმართებლობას რომ ეს შეესრულებინა, ამით ის გადაარჩენდა უბედურებას 2000 დედა-კაცს და ბავშს, რომელნიც ხართუმში არიან მომწყვდეულნი. მაგრამ კაბინეტმა, ესკადრონების გაგზავნის მაგივრად, ბძანება მისცა მთლად ინგლისის ჯარებს სუაკიმისკენ დაბრუნებულიყვნენ. ბევრს ჯარს არც თვითონ გორდონი თხოულობდა და არც საზოგადოება ითხოვს, რადგანაც ბევრი ჯარის გაგზავნას სამწუხარო შედეგი მოსდევს როგორც თვით საქმისათვის, აგრეთვე გორდონისთვისაც. ამ უკანასკნელისთვის ის უფრო უმჯობესია მტრისაგან განიგმიროს ხელ-ჩართულს ომში, ვიდრე გადარჩეს სიკვდილს ინგლისის ჯარის შეოხებით. სიკვდილი დიდების ნათელს მოჰფენს მისს სახელს და ჯარის მიერ დახსნა კი შესწიკვლავს და შეარცხვენს მას. მაგრამ ის ორი ესკადრონი კი (300 კაცი), რომელიც მან ითხოვა, საჭირო იყო: ამიტომ, რომ ამ ჯარით და დანაშთენი გარნიზონებით ის ან გააპობდა გარშემორტყმულს მტრის ჯარს და გამოვიდოდა, ან არა და ვაჟკაცურად მოკვდებოდა.

აი სწორედ ამ სახით ბაასობენ ინგლისის თითქმის ყველა ჯურის და მიმართულების გაზეთები და ბოლოს შემდეგსაც უმატებენ; «მთლად ინგლისის ხალხი აღსდგება პარლამენტში, როგორც ერთი კაცი, და მოსთხოვს მმართებლობას, რომ გენერალი გრაჰამი უნდა დარწმუნდეს— შეიწლება კიდევ თუ არა ხართუმში ჯარების გაგზავნა? თუ გზები შეკრულია და არ შეიძლება გორდონის შველა, მაშინ რაღა გაეწყობა,—ინგლისს მარტო ისღა დარჩენია აღიაროს, რომ ამოდენა სისხლის ღვრამ ფუჭად ჩაუარა და მისნი გამარჯვებანი უნაყოფონი იყვნენ. თუ კიდევ გზა ხსნილია, გრაჰამმა უეჭველად უნდა გაგზავნოს ხართუმში რაზმი, როგორც უნდა დაუჯდეს ეს. ორივე შემთხვევაში მმართებლობამ გორდონს უნდა ჰკითხოს ტელეგრაფით— სასარგებლოდ ხადის იგი ხართუმში მის მოთაოვეობით მუდმივი, თავისუფალი და დამოუკიდებელი მმართებლობის დაარსებას, თუ არა? ვიდრემდის ეს ამბავი არ მიუვა მას, არ შეუძლიან თავისუფლად მოქმედება და ამის გამო მინამდის თავის თავის დახსნაზედაც ვერ იფიქრებს. გორდონს უნდა ჰქონდეს უფლება, რომ თავისუფლად იმოქმედოს და, როგორც უნდა, ისე მოიხმაროს ზობეირ-ფაშის გავლენა; თუ ეს უფლება არ მიენიჭება მას, მაშინ მმართებლობას მარტო 300 კაცისა კი არა, მთელი ბრიტანიის ექსპედიციის გაგზავნა დასჭირდება ხართუმში.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

2 აპრილს.

ყაზანი. შინაურ საქმეთა სამინისტროს მიერ გამოგზავნილმა ბარონმა იკსკიულმა დაათვალიერა ყაზანის, მამადიშევის, ჩისტოპოლის და ლაიშევის მაზრების სოფლები და დარწმუნდა, რომ შიმშილი და მისნი საშინელნი თანამგზავრნი: შიმშილის სახადი და შიმშილისაგან სიკვდილი არ არსებობენ, რომ ცუდი მოსავლის გამო გლეხობა ზოგიერთა სოფლებში დიდს გაჭირებაში არის,

მაგრამ მცხოვრებლებს შემწეობა ეძლევათ და ერობა გონივრულად მოქმედობს; მაგრამ ბარონს იკსკიულს გუბერნიის ეკონომიური მდგომარეობა საშიშარ მდგომარეობად მიაჩნია: მიწის შემუშავება ცუდად მიდის, სრულიად არ აპატივებენ, მრეწველობა სუსტად და პირველ-ყოფილის წესით წარმოებს, არ არის კერძო თაოსნობა, ყველაფერში სრული უხალისობა სჩანს. თუ ამ გვარმა მდგომარეობამ კიდევ გასტანა, მაშინ, ბარონ იკსკიულის აზრით, შინახულის მოუსავლობა ყოველთვის შესაძლებელია და შეიძლება ყველა შიმშილისაგან წარმომდგარნი უბედურებანი თავს დაატყდენ მცხოვრებლებს; ამისათვის საჭიროა: ენერგია, კერძო თაოსნობა და მრეწველობის წარმატება და საზოგადოდ ამ მხარის კეთილ-დღეობის გაუმჯობესება.

**შანხაი.** პეკინის ოფიციალურს წრეებში ხმებია გავრცელებული, ვითომც ჩინეთის ელჩებს მარკიზ ძენგს ლონდონიდგან და ლი-ფონგ-პაოს ბერლინიდგან იბარებდენ ჩინეთში. ის ამბავი, ვითომც ომის მომხრე დასს გაემარჯოს ჩინეთში და პრინცს კუნგს წყრომა დაემსახურებინოს, არა მტკიცდება. ჩინეთის მმართებლობას ისევ მშვიდობის-მოყვარეობა ეტყობა.

**კაირო.** ინგლისის მართებლობამ, ეგვიპტის ფინანსიური მდგომარეობის გასასწორებლად, ურჩევნა სახელმწიფოთ ზოგიერთა ზომანი და მათ რიცხვში გენერალი ვუდის ჯარის დათხოვნაც.

**სუაკიმი.** შეიხი მარგანის სხვა შეიხებთან შეყრა, როგორც სჩანს, აღარ მოხდება, რადგანაც არ დამტკიცდა ის ხმები, ვითომც აჯანყებულებს დაეპყრათ ხართუმი და ნილოსის მეხუთე ჩანჩქარი.

3 აპრილს.

**პეტერბურგი.** სამზღვარ გარეთული გაზეთები იწერებოდენ ამ დღეებში, რომ რუსეთი ეწინააღმდეგება ალექო-ფაშის აღმოსავლეთ რუმელიის გენ.-გუბერნატორად დანიშვნასა შემდეგი ხუთის წლობითაო; დღეს «ჟურნალ დე სან პეტერბურ» ამის შესახებ ამბობს, რომ ალექო-ფაშამ მართლა არ შეასრულა ის, რასაც მისგან მოელოდენ; იმის მოქმედება არ იყო პატიოსნური და სწორე განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ რუმელიის ბულგარიასთან შეერთების თაობაზედ აგიტაცია იყო, თუმცა იმან კი ყველაზედ კარგად იცოდა, რომ რუსეთი სრულიადაც არ აქეზებდა ამ აგიტაციას; ამის გამო, საკვირველი არ არის, რომ რუსეთის მმართებლობას არ უნდოდეს ალექო ფაშის ხსენებულს თანამდებობაზედყოფნა.

გაზეთები იტყობინებიან, რომ იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს ებრაელთა შესახებ კანონების გარდახილვა, გაიცნო ყველა ზომები, რომელნიც ებრაელთა შესახებ ხმარებაში იყვნენ XVII და XVIII საუკუნოებში, შეაგროვა ყველა მმართებლობის განკარგულებანი ველიკოროსიის, მალოროსიის და ლიტვის ებრაელთა შესახებ და შეადგინა ერთი ნაწილი, ხოლო შედგენას მეორე ნაწილისას, რომელიც იპყრობს ებრაელთა შესახებ კანონებს აწინდელი საუკუნისას, მალე შეუდგებიან და შემდეგ შეადგენენ დასკვნასაც, რომელშიაც ნაჩვენები იქნება სხვა-და-სხვა კანონ-დებულებათა ღირსება და ნაკლულევანება.

# განცხადებანი

**ნერსესიანთა სომხის სასულიერო სემინარიის მზრუნველობის რჩევაში 18** აპრილს, საღამოს **8** საათზე ხელ-მეორედ იქნება ვაჭრობა (განუმეორებლად) სემინარიის კუთვნილთა მამულთა იჯარით გაცემაზედ: ა) სახლისა და დუქნისა, შეწირულთა განსვენებული პავეტიქა ფირალოვის მიერ და მდებარეთა რუსების ბაზარში **№№ 6** და **11**, და. ბ) **21** დუქნისა, რომელნიც არიან აშენებულნი სასწავლებლის მოედანზე, ვანქის სომხის სობოროსთან. კონდიციების ნახვა შეიძლება **მზრუნველობის** კანცელარიაში ყოველ-დღე, გარდა კვირისა და სატაბელო დღეებისა, **10**-დამ **12** საათამდინ.

(3—1)




მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული **წამალი ნაოჟლარისა**, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირათ ფეხის თითებს შუა,




# გალმანინი

(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაქის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში, მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფ ა რ მ ა ც ი ი ს მ ა გ ი ს ტ რ ი ს გ. კარპინსკის აფთიაქში ქ. ვარშავაში, ელექტორალის ქუჩაზე, № 35.

დიდი კოლოფი გალმანინისა ვარშავაში 50 კაპ. ღირს, პატარა—30 კაპ.

უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ.

გ. კარპინსკი.

(10—2)

**«ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების»** მმართველობა სთხოვს საზოგადოების დამფუძნებელთა და ნამდვილ წევრთ წარმოგზავნონ ხვედრი საწევრო ფული წარსულის 1883 წლისა პირველთ 20 მან. და მეორეთ—ექვსი მანათი ან საზოგადოების ხაზინადარის ბ-ნ გ. დ. ქართველიშვილის სახლობაზე (Михаиловская улица, собственный домъ), ან საზოგადოებისავე სამწერლოში (Симонсоновская улица, за 1-ою Классическою Гимназiею, подъ редакцiею газ. «Дроэба»). (10—5)

# კახური ღვინის პოდვალში მომავალი პრაზნიკებისათვის.

ახლად მივიღეთ კახეთიდგან დიდი პარტია საუკეთესო ღვინოებისა და ისყიდება როგორათაც პარტიით, აგრეთვე წვრილად: ბოთლი **15** კ—დგან **1** მ—დინ, ვედრო **2** მან. **20** კ—დან **10** მ—დენ თავი.

**პოდვალი** იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ ლეჩებნიცის ქვეშ, **წ**ინამძღვაროვის სახლში.

(2—1)

**სოლომან იკანოზ კურდღელოვი**

საგლობუსო  კალმები



**რომლებითაც** შეიძლება წერა სულ მსხვილ, **უსუფთაო ქაღალდი**. ერთად-ერთი საავენტო—ინგლისის მაღაზია. **იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები**, ყოველის „ხელისათვის“—25% იაფად, ვინემ სხვაგან. **იქვე**: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, ფენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაგრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმენდად (ბორაკსი), თუთრუყლისათვის, პატარა ხალხის ატკაისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეჭდები, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომადი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საექიმო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატარა—20 კ.

(100—73)

**PAPIER RIGOLLOT**
БУМАГА РИГОЛЛО
**ГОРЧИЦА НА ЛИСТАХЪ ДЛЯ СИНАПИЗМОВЪ**
ПРИНЯТАЯ ВЪ ПАРИЖСКИХЪ ГОСПИТАЛЯХЪ
ВЪ ВОЕННЫХЪ БОЛЬНИЦАХЪ, ВЪ МОРСКОМЪ ФРАНЦУЗСКОМЪ И АНГЛІЙСКОМЪ
КОРОЛЕВСКОМЪ МОРСКОМЪ ВѢДОМСТВАХЪ
Единственное средство, ввозъ котораго дозволенъ въ Имперію медицинскимъ совѣтомъ.

Принимайте за *НАСТОЯЩУЮ* **БУМАГУ РИГОЛЛО** лишь ту, листы которой имѣютъ поперегъ сію подпись **красною** краской.

F. Rigollot

*Продается во всѣхъ аптекахъ.*

**ГЛАВНОЕ ДЕПО**
**24, Avenue Victoria**
PARIS
**Въ Парижѣ.**

(32—5)

მე შევიტყე, რომ ავრცელებენ ხმებს, ვითომც რაკი ჩემმა სავაჭრო სახლმა გალანტერეის **ერთბაშად ვაჭრობისათვის** მიიღო დებიტორებისაგან კუთვნილი საქონლის ფასი, აღარ **ვანდობდე მათ ნისიას.**

ეს ხმები სიცრუვეა და მათ არავითარი საფუძველი არა აქვთ, ჩემის სავაჭრო სახლის საქმეთ უფრო იმატეს და პა**სუხის მგებელ შემკვეთელებს** კრედიტს ვაძლევ **უფრო მეტობით**, სინამ წინად.

**ი. ბარტმანი შვილი.**

ქალაქი ვარშავა.

(1—1)

ინგლისის მაღაზიაში

# თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—14)



# მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის, პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

Дозв. цензур. Тифлисъ, 3 Апреля 1884 г. (ქ. ხელაძის სტამბა) Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ზ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.